დასკვნა:**დ12.37210981**
თარიღი:**08/04/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

მ/წლის 5 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ანგარიში მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას; მასში წარმოდგენილია :

ა). ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ). საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან;

გ). ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთები წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

დ). ინფორმაცია სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

ე). წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერა და მიღწეული შედეგები;

ვ). მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლები;

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ლელა საჯაია

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი